# ხელშეკრულება №91
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## (გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი აპარატის უფროსის რუსლან ჭორიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „იუ-ჯი-თი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მაისურაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის, 2015 წლის 20 იანვრის საქართველოს მთავრობის #38 განკარგულების, საქართველოს მთავრობასა და კომპანია მაიკროსოფტს შორის 2015 წლის 23 იანვარს გაფორმებული მაიკროსოფტ ბიზნეს და სერვის შეთანხმებისა (Microsoft Business and Service Agreement), შემდგომში - „MBSA შეთანხმება"), Enterprise Agreement-ის, 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის N1235 განკარგულების, 2015 წლის 30 იანვარს სსიპ „საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა" და კომპანია მაიკროსოფტს შორის გაფორმებული Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471" შეთანხმების საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „ლიცენზია" ან „ლიცენზიები" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
7. „მწარმოებელი" – კომპანია მაიკროსოფტი (Microsoft Ireland Operations Ltd);
8. „მომხმარებელი" – შემსყიდველის კუთვნილი მოწყობილობა ან მათთან დასაქმებული ფიზიკური პირი, რომელიც ისარგებლებს „ლიცენზიით".
9. „სალიცენზიო პირობები" - მწარმოებლის მიერ დადგენილი, „MBSA შეთანხმებით" გათვალისწინებული პირობები მწარმოებლის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

### 2. ლიცენზიების აღწერა

შემსყიდველი ახორციელებს დამატებითი ლიცენზიების (ლიცენზიების პირველი წლის Microsoft True-Up-ით დამატება) შესყიდვას 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის N1235 განკარგულების საფუძველზე. მწარმოებლის სალიცენზიო პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულების თავში მოხსენიებული შეთანხმებების შესაბამისად დანართ N1-ში მოცემული ლიცენზიები აძლევს შემსყიდველს მაიკროსოფტის პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობის უფლებას;

## 3. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდება. (SPV48620000)

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული ლიცენზიების შემსყიდველისათვის გადაცემა 9.2 პუნქტის შესაბამისად გადახდიდან არაუგვიანეს 21 (ოცდაერთი) დღისა. ლიცენზიების გადაცემა ხორციელდება Microsoft VLSC პორტალზე აქტივაციის გზით, პორტალზე წვდომის უზრუნველყოფას ახორციელებს სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური" 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის N1235 განკარგულების შესაბამისად;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა განახორციელოს შემსყიდველისათვის საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარდგენა;

4.3. შემსყიდველი ვალდებულია, განახორციელოს ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

4.4. შემსყიდველი ვალდებულია 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის N1235 განკარგულების მე-7 პუნქტის შესაბამისად განახორციელოს შესყიდული ლიცენზიების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის (ლიცენზიების დასახელება და რაოდენობა) სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისათვის" მიწოდება;

4.5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (მიმწოდებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი: levan.dadiani@ugt.ge; შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი/საკონტაქტო პირი: ruslankoridze@gmail.com მეშვეობით აწარმოონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა.

## 5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **79,965.06** (სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაას სამოცდახუთი აშშ. დოლარი და 06 ცენტი) აშშ დოლარს;

5.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც ლიცენზიების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

5.3. ანგრიშსწორება ხორციელდება ლარში გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად;

5.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

5.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 6. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი);

7.3. ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) დღეში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

## 8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1. ლიცენზიების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის საფუძველზე;

8.2. შემსყიდველის მხრიდან ლიცენზიების მიღებას აწარმოებს რუსლან ქორიძე.

## 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 100% საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 10. საავანსო საბანკო გარანტია

10.1. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

10.2. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდების ვადას.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 14. დავების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

16.2. ხელშეკრულების შეწყვეტისას, ლიცენზიებით შემდგომი სარგებლობის, შეცვლისა და გაუქმების საკითხები რეგულირდება MBSA შეთანხმებისა და მწარმოებლის სალიცენზიო პირობების შესაბამისად;

## 17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი"<br>მის: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. N9<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 245424090<br>ტელ: 0422 27 20 70 | შპს „იუ-ჯი-თი",<br>მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი,<br>ი.ჭავჭავაძის გამზ. N17ა,<br>ტელეფონი: 222-05-05,<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ანგ. №GE88BG0000000261644601,<br>სს „საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22,<br>ს/ს-204892964 |
| საბანკო რეკვიზიტები:<br><br>სახელმწიფო ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში | |
| რ. ქორიძე | გ. მაისურაძე |

ხელშეკრულება № 91
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

16 დეკემბერი 2015წ.

## დანართი N1

| აღწერილობა | ცალი | ფასი | ჯამური ფასი |
|---|---|---|---|
| ProDsktp ALNG LicSAPk MVL | 174 | $ 375 | $ 65,250 |
| LyncSvr ALNG LicSAPk MVL | 1 | $ 2,025 | $ 2,025 |
| WinSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc | 1 | $ 492 | $ 492 |
| | | სულ ღირებულება | $ 67,767.00 |
| | | სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით | **$ 79,965.06** |

**შემსყიდველი**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი"
მის: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. N9
საიდენტიფიკაციო კოდი: 245424090
ტელ: 0422 27 20 70

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინის
ერთიანი ანგარიში

**მიმწოდებელი**

შპს „იუ-ჯი-თი",
მისამართი: საქართველოო, ქ. თბილისი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. N17ა,
ტელეფონი: 222-05-05,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22,
ს/ს-204892964

რ. ქორიძე

გ. მაისურაძე

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი 2015 წელი

ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ ლიცენზიების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსი

რუსლან ქორიძე

თბილისი

საგანმო გადახდის საბანკო გარანტია # ADV36722-15

18 დეკემბერი 2015 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ოუ-ეს-ეი (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 204892964
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირი, №17ა
ბენეფიციარი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 245424090
საგარანტიო თანხა: 79,965.06 (სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაასსამოცდახუთი და 06/100) აშშ დოლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა რომ, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა (16 დეკემბერი 2015წელი; #91) ხელშეკრულება და დანართი #1 (შემდგომში „ხელშეკრულება"), რომლის თანახმადაც პრინციპალმა უნდა განახორციელოს ლიკვიდაციის მიწოდება. ზემოხსენებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 100%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს საბანკო გარანტიას მოითხოვნილი ავანსის ეквივალენტ თანხაზე ანუ 79,965.06 (სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაასსამოცდახუთი და 06/100) აშშ დოლარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, გარანტი კისრულობს გამოითხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე აუნაზღაუროს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს ჯამში 79,965.06 (სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაასსამოცდახუთი და 06/100) აშშ დოლარის ეквივალენტი დარის ოდენობით, გადარიცხვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური აშშ დოლარი დარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის ბენეფიციარის დაფაქსებით სს „საქართველოს ბანკში" პრინციპალის #GE88BC0000000261644601ანგარიშზე ჩარიცხული საგანმო თანხის პროპორციულად.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 14 თებერვალი 2016 წელი შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ამ პრეტენზია, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 საათი) 17:00 საათამდე. კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად. საბანკო რეკვიზიტები და ის გარემოება, რომლის გამოც ხდება მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ახლდეს მოთხოვნაზე ხელმოწერი პირის ხელმოწერაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად მცირდება პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული მუალეფური მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული საქონლის/საქმიანობის ღირებულების 100%-ის ოდენობით, რომელთა ასლები უნდა წარედგინოს გარანტს შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაშვებულია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ეთერ ჩხეიძე
გარანტიების/საბანკო ტვირთების

204378869

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1235 2015 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

## კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის მიწოდებისა და მისი ადმინისტრირების თაობაზე

1. „კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენლისგან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №38 განკარგულების საფუძველზე, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შესყიდული ლიცენზიები გადანაწილდეს წინამდებარე განკარგულების დანართების (დანართი №1 - დანართი №15) შესაბამისად.

2. დაევალოთ/ეთხოვოთ წინამდებარე განკარგულების დანართებით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს (გარდა №8 დანართით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განახორციელონ ამავე დანართებით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობის ლიცენზიების შესყიდვა სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან.

3. წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამისი

ანგარიშსწორება განხორციელდეს ეტაპობრივად, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ანგარიშსწორების გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 2017 წლისა.

4. 2015 წლის 23 იანვარს, საქართველოს მთავრობასა და კომპანია Microsoft-ს შორის გაფორმებული Business and Services Agreement (შემდგომში - „MBSA შეთანხმება"); Enterprise Agreement; 2015 წლის 30 იანვრის Get Genuine Windows Agreement for Large Organizations (Indirect) (შემდგომში - „GGWA შეთანხმება") ხელშეკრულებების, 2015 წლის 30 იანვარს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და კომპანია Microsoft-ს შორის გაფორმებული Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471", „Discount Transparency Disclosure Form - X20-12769", „Product Selection Form – Specialized profile – CTM" „Effective Date Amendment ID M23 – M23 ხელშეკრულებების შესაბამისად, 2015 წლის 30 იანვარს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და კომპანია Microsoft-ს შორის გაფორმებული Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471 ხელშეკრულებით განსაზღვრულმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელონ კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვა, კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენლისგან შპს „იუ-ჯი-თისგან".

5. ამ განკარგულების დანართებით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ამავე განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელების უფლება წარმოეშობათ განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

6. სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა უზრუნველყოს:

ა) კომპანია Microsoft-ის ელექტრონული პორტალის მეშვეობით, წინამდებარე განკარგულების დანართებით განსაზღვრული საბიუჯეტო

ორგანიზაციებისა და 2015 წლის 30 იანვარს, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და კომპანია Microsoft-ს შორის გაფორმებული Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471 ხელშეკრულებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შესყიდული ლიცენზიების ადმინისტრირება (Microsoft-ის პორტალზე წვდომის უზრუნველყოფა და შესყიდული ლიცენზიების შესაბამისი ნომრების გადაცემა);

ბ) წინამდებარე განკარგულების დანართებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, ამავე დანართებში მითითებული ოდენობების შესაბამისად, კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების მიწოდება 3 (სამი) ეტაპად;

გ) 2015 წლის 30 იანვარს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და კომპანია Microsoft-ს შორის გაფორმებული Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471 ხელშეკრულებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ განკარგულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვის შემთხვევაში, ლიცენზიების გააქტიურებისა და ადმინისტრირების მიზნით, კომპანია Microsoft-თან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

7. 2015 წლის 30 იანვარს, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და კომპანია Microsoft-ს შორის გაფორმებულ Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471 ხელშეკრულებაში მითითებულმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, ამ განკარგულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიების შესყიდვის შემთხვევაში, უზრუნველყონ შესყიდული ლიცენზიების თაობაზე, შესაბამისი ინფორმაციის (დამატებით მოთხოვნილი ლიცენზიების დასახელება და რაოდენობა) მიწოდება სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისათვის.

8. ამ განკარგულების მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის სამუალებით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

Sakrebulo of Batumi City Municipality —

Ministry of Labour, Health and Social affairsf Georgia

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

Adigeni Municipality Board

Land Transport Agensy

Ministry of Agriculture of Georgia

Georgian National Film Center

Municipality of Tetritskaro

Georgian Civil Aiation Agency

National Agency of Public Registry

Government of Autonomous Republic of Adjara

LEPL Georgian State Hydrographic Service

Tsageri Historical Museum

Office of The State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia

LEPL SMART LOGIC

Administration of State Attorney - Governor in Kakheti Region

THE OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA FOR DIASPORA ISSUES

Ajara Employment Agency

Tbilisi City Assembly

LEPL "Emergency Medical Service Center"

Municipality of Kvareli

United Amelioration Systems Company Of Georgia

☐ Enrolled Affiliate and all Affiliates, with following Affiliate(s) excluded:

b. Please indicate whether Enrolled Affiliate's Enterprise will include all new Affiliates acquired after the start of this Enrollment: Include future Affiliates

## 2. *Contact information.*

Each party will notify the other in writing if any of the information in the following contact information page(s) changes. The asterisks (*) indicate required fields. By providing contact information, Enrolled Affiliate consents to its use for purposes of administering this Enrollment by Microsoft, its Affiliates, and other parties that help administer this Enrollment. The personal information provided in connection with this Enrollment will be used and protected in accordance with the privacy statement available at https://www.microsoft.com/licensing/servicecenter.

a. **Primary contact.** This contact is the primary contact for the Enrollment from within Enrolled Affiliate's Enterprise. This contact is also an Online Administrator for the Volume Licensing Service Center and may grant online access to others. The primary contact will be the default contact for all purposes unless separate contacts are identified for specific purposes.